

**ინფორმაცია 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისთვის**

სარჩევი

I.წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამა.....	1
II.წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამა.....	2
III. წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის [ფასიანი და უფასო] სატელევიზიო ეთერში განთავსების პირობები.....	2
IV წინასაარჩევნო რეკლამის [ფასიანი და უფასო] ტექნიკური პარამეტრები.....	3

შპს „პოსტ“-ს როგორც საერთო ეროვნულ ტელემაუწყებელს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსისა“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოყოფილი აქვს ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსებისთვის საეთერო დრო.

**I.წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამა**

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში [შემდგომში „საპარლამენტო არჩევნები“] მონაწილე კვალიფიციური სუბიექტისთვის უფასო საეთერო დროის ათვისება ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის [შემდგომში „საარჩევნო კოდექსი“] მოთხოვნების შესაბამისად:

1.1.საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას არჩევნების დღემდე **50-ე დღიდან** ტელემაუწყებელი თავის ეთერში ყოველ **3** საათში გამოყოფს **7,5 წუთს** წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად და თანაბრად და არადისკრიმინაციულად განთავსდება თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა, იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო **90 წამს არ უნდა აღემატებოდეს** (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოს). არ შეიძლება საარჩევნო სუბიექტის მიერ გამოუყენებელი დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა დროისათვის [საარჩევნო კოდექსი, 185-ე მუხლი მე-5 ნაწილი];

1.2.პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც აქვთ უფასო საეთერო დროის გამოყენების უფლება, საარჩევნო ბლოკში გაერთიანების შემთხვევაში, მიუხედავად მათი რაოდენობისა, საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციის მომდევნო დღიდან კარგავენ ამ უფლებას, ხოლო ეს საარჩევნო ბლოკი იმავე დღიდან იძენს აღნიშნულ უფლებას, როგორც ერთი საარჩევნო სუბიექტი [საარჩევნო კოდექსი, 185-ე მუხლი მე-15 ნაწილი];

1.3.კვალიფიციურმა სუბიექტმა ტელემაუწყებელს უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების მიზნით სასურველი განთავსების დღემდე არანაკლებ 3 [სამი] სამუშაო<sup>1</sup> დღით ადრე უნდა მომართოს და წარმოადგინოს ოფიციალური წერილი, ასევე დისკზე ჩაწერილი სარეკლამო რგოლი. შესაბამისი წერილი და დისკზე ჩაწერილი სარეკლამო რგოლი წარმოდგენილი უნდა იქნეს: ორშაბათიდან - პარასკევის ჩათვლით 10:00 დან - 19:00 საათამდე, ქ. თბილისში, ნ. ბოხუას #6-ში;

1.4. კვალიფიციური სუბიექტის მიერ წარმოდგენილ წერილში მითითებულ უნდა იქნეს უფასო სარეკლამო რგოლის განთავსების პერიოდი.

## II. წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

2.1. სატელევიზიო არხზე 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ უნდა აღემატებოდეს მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არცერთ საარჩევნო სუბიექტს არ უნდა დაეთმოს ამ დროის ერთ მესამედზე მეტი. ფასიანი დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირია [საარჩევნო კოდექსი, მუხლი 50-ე 1-ლი ნაწილი];

2.2. წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსებისთვის დადგენილი ტარიფები ძალაში შედის კენჭისყრამდე 50-ე დღიდან. შესაძლებელია ტარიფის ცვლილება საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული წესით. ფასიანი რეკლამისთვის დადგენილი ტარიფები განთავსებულია ვებ-გვერდზე postv.media [განყოფილება: ჩვენ შესახებ] [საარჩევნო კოდექსი, მუხლი 50-ე 1-ლი ნაწილი];

2.3. წინასაარჩევნო ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსებისთვის გამოყოფილი სარეკლამო ჭრების შესახებ ინფორმაცია postv.media-ს ვებ-გვერდზე [განყოფილება: ჩვენ შესახებ] გამოქვეყნდება ყოველკვირეულად;

2.4. აკრძალულია კენჭისყრამდე 8 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე ტელევიზიისა ეთერში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსება [სარჩევნო კოდექსი, 185-ე მუხლი მე-18 პუნქტი].

2.5. ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსების თაობაზე ხელშეკრულების გასაფორმებლად, გთხოვთ დაუკავშირდეთ შემდეგ საკონტაქტო პირს:

- სალომე შარაბიძე; email: [sales@postv.tv](mailto:sales@postv.tv); საკონტაქტო ნომერი: 595341122;

2.6. შესაბამისმა პოლიტიკურმა პარტიამ ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსების მიზნით, სასურველი განთავსების დღემდე არანაკლებ 3 [სამი] სამუშაო დღით ადრე უნდა მომართოს ტელემაუწყებელს. ფასიანი პოლიტიკური რეკლამის რგოლი წარმოდგენილი უნდა იქნეს: ორშაბათიდან - პარასკევის ჩათვლით 10:00-დან - 19:00 საათამდე, ქ. თბილისში, ნ. ბოხუას #6-ში.

## III. წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის [ფასიანი და უფასო] სატელევიზიო ეთერში განთავსების პირობები

3.1. დაუშვებელია ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ სარეკლამო დროის ფარგლებში მაუწყებლის ეთერში ისეთი სარეკლამო რგოლის განთავსება, რომელიც სხვა საარჩევნო

<sup>1</sup> წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის სამუშაო დღედ განიხილება: ორშაბათი-პარასკევი;

სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება. საარჩევნო სუბიექტის რეკლამა არ უნდა შეიცავდეს სხვა საარჩევნო სუბიექტის არჩევისათვის ხელის შემწყობი რეკლამის ელემენტებს, მათ შორის, მის წარმომადგენელს, რიგით ნომერსა და სიმბოლიკას. [საარჩევნო კოდექსი, 185-ე მუხლი მე-19 პუნქტი];

3.2. სარეკლამო ბლოკში საარჩევნო სუბიექტის რიგითობა განისაზღვრება მაუწყებელში შემოსული საარჩევნო სუბიექტების მომართვიანობის რიგითობის მიხედვით;

3.3. დისკზე ჩაწერილი სარეკლამო რგოლი უნდა იქნეს წარმოდგენილ ქ. თბილისში, ნ. ბოხუას #6-ში [0159] და ამავედროულად უნდა იქნეს გამოგზავნილი ელ. ფოსტაზე sales@postv.tv;

3.4. თუ შესაბამის პარტიას სურს სარეკლამო რგოლის ჩანაცვლება, აღნიშნულისთვის უნდა იქნეს წარმოდგენილი წერილი და დისკზე ჩაწერილი სარეკლამო რგოლი სასურველი განთავსების დღემდე 3 [სამი] სამუშაო დღით ადრე. ამავედროულად, რგოლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ელექტრონულად ელ. ფოსტაზე sales@postv.tv;

3.5. რეკლამის შინაარსის საკანონმდებლო რეგულაციებთან [მათ შორის სარეკლამო რგოლში კანონსაწინააღმდეგო განცხადებ(ებ)ის შემთხვევაში] შეუსაბამობის შემთხვევაში, ტელემაუწყებელი უფლებამოსილია არ განათავსოს შესაბამისი ხარვეზის აღმოფხვრამდე.

#### IV წინასაარჩევნო რეკლამის [ფასიანი და უფასო] ტექნიკური პარამეტრები

4.1. პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „**ფასიანი პოლიტიკური რეკლამა**“ ან „**უფასო პოლიტიკური რეკლამა**“ [საარჩევნო კოდექსი, 50-ე მუხლი 1-ლი ნაწილის გ) პუნქტი];

4.2. პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამას უნდა ჰქონდეს **სურდოთარგმანი**, რომლის უზრუნველყოფაც რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა [საარჩევნო კოდექსი, 50-ე მუხლი 1-ლი ნაწილის გ) პუნქტი];

4.3. პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კონტურების ჯამი უნდა იკავებდეს კადრის ფართობის **არანაკლებ 5%-ს**. ამასთანავე, რეკლამა ისე უნდა იყოს დამზადებული, რომ მისი დასრულებისას, არანაკლებ **ბოლო 1 წამის** განმავლობაში ნაჩვენები იყოს საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება და რიგითი ნომერი, იმგვარად, რომ სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა და რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კონტურების ჯამი იკავებდეს კადრის ფართობის **არანაკლებ 25%-ს**. ამ პუნქტით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში მაუწყებელი არ განათავსებს შესაბამის პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამას [საარჩევნო კოდექსი, 185-ე მუხლის მე-20 ნაწილი];

4.4. სარეკლამო რგოლი უნდა იყოს TARGA ან h264 25 fps ფორმატში 1920X1080 რეზოლუციით CD, DVD დისკზე ან ფლემ მუხსიერების ბარათზე. ხმა - სტერეო, 48 ჰერცი, 16 ბიტი, max 3 დეციბალი- min 18 დეციბალი;

4.5. იმ შემთხვევაში, თუ სარეკლამო რგოლს აქვს შეუსაბამო ტექნიკურ პარამეტრებთან, დაკორექტირებული რგოლი შესაბამის წერილთან ერთად უნდა იქნეს წარმოდგენილი ტელემაუწყებელში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისში, ნ. ბოხუას #6-ში [0159] და ამავედროულად უნდა იქნეს გამოგზავნილი ელ. ფოსტაზე sales@postv.tv;

საკონტაქტო პირი:

- სალომე შარაბიძე; email: [sales@postv.tv](mailto:sales@postv.tv); საკონტაქტო ნომერი: 595341122;

*\*პერიოდულად შესაძლებელია განახლდეს დამატებითი ინფორმაცია.*